ცნობა N 86/124-01
თარიღი:02.05.2018

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი უძრავ ქონებაზე, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ექვთიმე ხელაძე, N 27, საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.759, თანახმაა, რომ მოხდეს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე ახალაშენებული შენობა-ნაგებობების დარეგისტრირება მხოლოდ იმ პირობით, რომ სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება შენარჩუნდება უცვლელად და არ მოხდება იპოთეკის საგნის შემცირება. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ იპოთეკის საგანზე იპოთეკარსა და მესაკუთრეს შორის 10.08.2016 წელს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების N 1231231102214 მე-5 მუხლის 5.2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება: იპოთეკის საგნის სხვა ნივთთან გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე, იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე, იპოთეკის საგნისთვის დამატებულ (მიშენებულ, დაშენებულ) ნივთზე, იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობებზე, იპოთეკის საგნის გადაკეთებით (მოდიფიკაციით) მიღებულ ნივთზე, იპოთეკის საგნის აზომვის შედეგად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ დამატებით ფართობზე და იპოთეკის საგნის ნაყოფზე

პატივისცემით,

სს „თიბისი ბანკის“ მთაწმინდის ფილიალის ბიზნეს გაყიდვების კოორდინატორი

ირაკლი შეროზია